# სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N255

ქ. ბათუმი

25 ივლისი 2018 წ.

ერთის მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საქვეუწყებო დაწესებულება „აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი“ შემდგომ “დამკვეთად” წოდებული, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით, და მეორეს მხრივ, შპს გაზეთი „ჯორჯია თუდეი” შემდგომ “შემსრულებლად” წოდებული, წარმოდგენილი დირექტორის ივანე მერაბიშვილი სახით, ურთიერთშეთანხმებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 პრიმა მუხლის მესამე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის N14 განკარულების საფუძველზე, CPV – 79341000, SMP – 180000276 დებენ ხელშეკრულებას შემდგომზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი უზრუნველყოფს დამკვეთისთვის სარეკლამო მომსახურებას მე-2 მუხლში შეთანხმებული მახასიათებლების შესაბამისად პერიოდულ გამოცემაში, „საქართველოს რკინიგზის“ ჟურნალში, გამოცემა #11-ში. ტირაჟი - 50000 ცალი.

1.2 „დამკვეთი“ სარეკლამო მომსახურების საფასურს აანაზღაურებს ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 და 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 2. მხარეთა ვალდებულებები

**2.1 „შემსრულებლის“ ვალდებულებები:**

პერიოდულ გამოცემაში ჟურნალ „საქართველოს რკინიგზის“-ის მე-11 ნომერში დამკვეთის სარეკლამო-საინფორმაციო მასალის განთავსება 4 (ოთხ) გვერდზე.

2.1.2 „შემსრულებელი” „დამკვეთს” წარუდგენს წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტის პირობების შესაბამისად გაწეული სარეკლამო მომსახურების შესრულების შესაბამის ინვოისს და სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტს, როგორც სამუშაოს შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელსაც მხარეები დაადასტურებენ ხელმოწერით და ბეჭდით.

2.1.3 შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს დამკვეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

**2.2 „დამკვეთის” ვალდებულებები:.**

2.2.1 “დამკვეთი” იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს “შემსრულებელს” ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად მზა სარეკლამო მასალის ელექტრონული ვერსია ფერადი ბეჭდვისათვის “შემსრულებლის” მიერ სარეკლამო მასალის დამზადების ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

- “დამკვეთის” მიერ მიწოდებული ფაილი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების 2.1 პუნქტში განსაზღვრულ სარეკლამო მასალის ზომებს.
- ფაილი უნდა იყოს მომზადებული (HIGH DEFINITION PDF, ADOBE PHOTOSHOP TIFF, ILLUSTRATOR EPS, INDESIGN) ფორმატებიდან ერთერთში
- შრიფტები უნდა იყოს გადაყვანილი “წირებში” ან მოწოდებული ფაილის სახით TIFF, OTF, PS font)
- რასტრული უნდა იყოს არანაკლებ 300 dpi გარჩევადობის.

ზემოთ აღნიშნული ტექნიკური მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსრულებელი“ არ აგებს პასუხს სარეკლამო მასალის ბეჭდვის ხარისხზე.

2.2.2 დამკვეთი იღებს ვალდებულებას არ შეუკვეთოს ისეთი საქონლის რეკლამა, რომლის წარმოება და/ან რეალიზაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით.

2.2.3 “დამკვეთი” იღებს ვალდებულებას, აუნაზღაუროს “შემსრულებელს” 3.1 პუნქტით განსაზღვრული სარეკლამო მომსახურების საფასური 3.2.პუნქტში დადგენილ ვადებში.

## 3. სარეკლამო მომსახურების საფასური, მხარეთა შორის ანგარისწორების პირობები და სამუშოს/მომსახურების მიღების წესი

3.1 “შემსრულებლის” მიერ “დამკვეთისათვის” მე-2 მუხლით გათვალისწინებული სარეკლამო მომსახურების ჯამური ღირებულება განისაზღვრება - 10 000 (ათი ათასი) ლარით.

(საქართველოს ტერიტორიაზე პეროდულ გამოცემებში, ჟურნალ-გაზეთებში სარეკლამო მომსახურეობიდან მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის (კ) პუნქტისა ჩათვლის უფლების გარეშე).

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს/მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებაში მითითებულ "შემსრულებლის" საბანკო ანგარიშზე "დამკვეთის" მიერ თანხის ჩარიცხვის გზით ინვოისის და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდ) სამუშაო დღის ვადაში.

3.3. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა შორის გაფორმდება სამუშაოს/მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც დაადასტურებენ მხარეთა უფლებამოსილი პირები ხელმოწერით და ბეჭდით.

## 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 5. პასუხისმგებლობა

5.1 იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ მესამე პირის (პირების) მიერ გამოთქმული იქნება პრეტენზია ან მოთხოვნები სარეკლამო განთავსების დროს გამოყენებული მასალების უფლებებთან დაკავშირებით, ეს მოთხოვნები და პრეტენზიები არც ერთ შემთხვავაში არ გავრცელდება "შემსრულებელზე" და "დამკვეთი" ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს ამ მოთხოვნათა და პრეტენზიათა მოწესრიგება ამ ხელშეკრულებისთვის ზიანის მიუყენებლად.

5.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და წესით. თითოეული მხარე, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ნებისმიერი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ზიანი;

5.3 „შემსრულებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს "დამკვეთს", სახელშეკრულებო თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო, გადაუხდელი თანხის 0,02%-ის ოდენობით – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.4 „დამკვეთი" უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსრულებელს" სახელშეკრულებო ვადაში შეკვეთის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლო სარეკლამო მომსახურების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5.5 ხელშეკრულებით დადგენილი უფლებებით მხარეებს შეუძლიათ ისარგებლონ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მათ ვალდებულებას;

5.6 პირგასამტეხლოს გადახდა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან.

## 6. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

6.1. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

6.1.1. ჩამოყალიბებულნი არიან საქართველოში მოქმედ კანონმებლობასთან სრულ შესაბამისობაში;

6.1.2. აქვთ სრული უფლებამოსილება ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას;

6.1.3. ხელშეკრულების ხელმოწერა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების შესრულებით არ არღვევენ და/ან არ დაარღვევენ მოქმედ კანონმდებლობას, საკუთარ წესდებას და/ან სხვა ნებისმიერ მარეგულირებელ დოკუმენტს.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდა, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განპირობებული იყო დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, სამოქალაქო მღელვარება, გაფიცვა, აგრეთვე მთავრობის მხრიდან ისეთი ნორმატიული ან ადმინისტრაციული შეზღუდვის დადგენა, რომელიც ზეგავლენას ვალდებულების შესრულებაზე) ანუ კონკრეტულ პირობებში საგანგებო, გადაულახავი და გარდაუვალი მოქმედებით;

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, წერილობით შეატყობინონ ერთმანეთს ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის და დასრულების შესახებ.

## 8. კონფიდენციალობა

8.1. ხელშეკრულების თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას დაიცვას და არ გაახმაუროს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ინფორმაცია მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

## 9. დავების გადაწყვეტა

9.1. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
9.2. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას, რათა მოლაპარაკების გზით გადაჭრილი იქნას ნებისმიერი დავა თუ უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან გამომდინარე;
9.3. მხარის პრეტენზია, მეორე მხარის მიერ განიხილება, მისი წერილობით ფორმით მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში;
9.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან მოლაპარაკების გზით, მაშინ დავა განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსაყენებელი სამართალია ქართული სამართალი.

## 10. დასკვნითი დებულებები

10.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა;
10.2. ხელშეკრულების რომელიმე მუხლის და/ან პუნქტის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი მუხლები და/ან პუნქტები ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ხოლო ბათილი მუხლის და/ან პუნქტის ნაცვლად კი მოქმედებს ისეთი მუხლი და/ან პუნქტი, რომლითაც ადვილად მიიღწევა ხელშეკრულების მიზანი.
10.3. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, რომელიც ძალაში შევა თითოეული მხარის მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

**"დამკვეთი"**

**აჭარის ა.რ ტურიზმისა და**
**კურორტების დეპარტამენტი**
**ს/კ: 245427809**

იურდ. მის: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. 84/86

„თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ნ–№GE62TB7901736010100015

**თავმჯდომარე სულხან ღლონტი**

**"შემსრულებელი"**

**შპს "გაზეთი ჯორჯია თუდეი"**
**ს/კოდი 203867119**

იურდ. მის: ქ. თბილისი, გალაქტიონის #3/5
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, მელიქიშვილის #1
ტელ: 229-59-19;
სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა # GE87TB1100000018467042

**დირექტორი**
**ივანე მარუბიშვილი**

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ვადასტურებ, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ სარეკლამო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 25 ივლისს შპს გაზეთი „ჯორჯია თუდეი“-სთან გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N255 ხელშეკრულებაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

დეპარტამენტის თავმჯდომარე: სულხან ღლონტი

25 ივლისი 2018 წელი